თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თითოეული ფაკულტეტის ვებ–გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მოქმედი პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, სწავლების ენის, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, ამ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, ამ შედეგების მიღწევის მეთოდების, ასათვისებელი კრედიტების მოცულობისა და შეფასების სისტემის, პროგრამის სასწავლო გეგმის (სტრუქტურის), კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების და სხვ. შესახებ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების აღწერილობათა ნახვა შესაძლებელია ფაკულტეტის ვებ–გვერდზე საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლების საფეხურის მიხედვით.

პროგრამის აღწერილობაში მითითებულია პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი – როგორც საკონტაქტო პირი. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია სასურველი ინფორმაცია და კონსულტაცია მიიღოს მისგან პროგრამის სპეციფიკის შესახებ. გარდა ამისა, აკადემიური რეგისტრაციის პროცესში ხშირად ტარდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის პრეზენტაცია, რომელსაც უძღვება პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალი. პრეზენტაციის დროს წარმოჩენილია პროგრამის ძლიერი მხარეები, დარგის კვლევისა და სწავლების ისტორია და თანამედროვეობა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე; აქვე შესაძლებელია დიალოგის რეჟიმში გაირკვეს რიგი საინტერესო დეტალები პროგრამასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისა და შესაბამისი აკადემიური პერსონალისაგან.